საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3661
18/05/2023

3661-21-2-202305180938

შპს „სო-01-ს“
ელ. ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3247 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. №58-ში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დანართის სახით წარმოდგენილ Shp ფაილში ასახულია სხვადასხვა ობიექტის სივრცითი მონაცემები. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ აღნიშნული პროექტის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიის სივრცითი მონაცემები;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 1 კმ-ით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 500 მეტრით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთანავე, სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებები შეფასებული უნდა იყოს საწარმოს განთავსების ადგილიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ობიექტიდან 300 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ბეტონ-ლუქსის“ ბეტონის საწარმო. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო